კვირა, 1 აგვისტო, 1904 წ. 1877 წელიწადი ოც-და-მერვე 1904 კვირა, 1 აგვისტო, 1904 წ.

**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით . . | 10 მ. — კ. |
| 11 | „ . . | 9 „ 50 „ |
| 10 | „ . . | 8 „ 75 „ |
| 9 | „ . . | 8 „ — „ |
| 8 | „ . . | 7 „ 25 „ |
| 7 | „ . . | 6 „ 50 „ |
| 6 | „ . . | 6 „ — „ |
| 5 | „ . . | 5 „ 50 „ |
| 4 | „ . . | 4 „ 75 „ |
| 3 | „ . . | 3 „ 50 „ |
| 2 | „ . . | 2 „ 75 „ |
| 1 | „ . . | 1 „ 50 „ |

# ივერია

№ 177 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 177

**წლ ური ს ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1-ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

პირველ მკათათვიდამ წლის დამლევამდე ჰღირს . . . . 6 მან.
„ მარიამობისთვიდამ წლის დამლევამდე . . . . . 5 „ 50 კაპ.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჰღირს:

პირველ მკათათვიდამ წლის დამლევამდე ქალაქში . . . . . 2 მან. 75 კაპ.
„ „ „ „ ქალაქ გარედ. . . . 3 „ 50 „
„ მარიამობისთვიდამ წლის დამლევამდე ქალაქში . . . 2 „ 50 „
„ „ „ „ ქალაქ გარედ . . . 3 „ —

გაზ. „ივერიის“ **კანტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდამ 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

## ხელის-მოწერა მიიღება:

**ტფილისში:**—„ივერიის“ რედაქციაში (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა.)

**ქუთაისში:**—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**ბათომში:**—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

**საგურამოში:**—პეტრე მაჭავარიანთან.

**შორაპანში:**—პართენ ნასიძესთან.

**განჯაში:**—სოფრომ კანდელაკთან (სადგურზედ).

**გორში:**—ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—10 კაპ., მთელი გვერდი გაზეთისა—ცალკე მორიგებით.

**საფოსტო ადრესი:** Тифлисъ, Редакція „Иверія“.

## საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნელი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1904—1905 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ წერა და წერა-გაკრული და შნოიანი (исправленіе дурнаго почерка)

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყობა 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდგან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევსა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში,

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელ ს. პ. მანუელიანც, ტფილისს.

უფასოთ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღეა. (24—9)

აგმოვიდა დ იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

## ლალაში

დრამა-ლეგენდა თ-დ ალ. სუმბათაშვილისა,
ავტორის სურათით და წინასიტყვაობით.
თარგმანი გრ. ყიფშიძისა.
გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.

**ფასი ერთი მანეთი**

„ივერიის“ ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

ვინც ათს ცალსა და მეტს იყიდის ან დაიბარებს რედაქციისაგან, თითო ცალი დაეთმობა 70 კაპ. ვინც ორმოცდა ათს იყიდის—60 კაპ. ფოსტის ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

**ამ პიესის წარმოდგენა მთარგმნელის ნება-დაურთველად სცენზურო წესდების 1864 მუხლის ძალით აკრძალულია.**

### საუკეთესო სააგარაკო ადგილები

## ზედ სურამის მახლობლად

მაღლობს და ტყით შემოსილ მთებ შორის, სხვა და სხვა ხომისა,

## ისყიდება

იაფად და ხელ-მისაწვდომ ფასად.

იკითხეთ „ივერიის“ რედაქციის კანტორაში. (10—10)

Feriencolonien. Colonie des vacances

„პატარა-ცემი“-ს

## საზაფხულო სამყოფი

### ექიმის ვახტანგ დ. ღამბაშიძისა

## მოზარდ ქალ ვაჟთათვის

ზედ ბაკურიანის რკინის გზაზედ, ბორჯომის მახლობლად, მთა-ადგილზედ, ფიჭვნარში, 4400 ფუტის, 1300 მეტრის სიმაღლეზე.

მიიღებიან ორივე სქესის მოზარდნი ასაკით 8—16 წლამდე, სისხლნაკლები, დასუსტებული, მოქანცული, ნაავადმყოფარი, მადა-დაკარგული, ჭაობის ციებით შეპყრობილი ბავშვები და საერთოდ ისინი, ვისაც ესაჭიროება დასვენება, მოღონიერება და სხეულის გამაგრება

წამლობა განსაკუთრებით ბუნებრივი და ჰიგიენური. მთის წმინდა ჰაერი, დასვენება, უხვი და ნოყიერი საზრდო და ყოველ-გვარი ვარჯიშობა წყლით ექიმობა და სხვ.

არ მიიღება მწოლიარე ავადმყოფი, გადამდებ სენით და ფილტვების სიქლექით დაავადმყოფებული, არც ის, ვისაც რომელიმე მიზეზისა გამო მაღალ, მთაადგილს ყოფნა არ არგებს.

საზაფხულო სამყოფის ხანად არის დანიშნული **ორი თვე:**

**15 ივნისიდგან 15 მარიამობისთვემდე.**

მსურველთ გაეგზავნებათ ცალკე წიგნაკი დაწვრილებით ცნობებით მოთხოვნილებისათანავე. პირადად ანუ წერილობით შეიძლება მიმართონ ექიმს ვ. ღამბაშიძეს, თბილისს, ნიკოლოოზის ქ. № 46. (15—15)

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. ავეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**ზ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. ხოლოდაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

**ზ. ს. ელში.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საშვილოსნო ავადმყოფობისა.

**მ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ხ. ტ. არზანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ორბელიანის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს —67 საათამდე.

**გძელიშვილი კონსტანტინე** ელის ბუდის ქუჩა. სახლი მილოვისა, № 5

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა,** მიხეილის პროსპექტი, № 145.

**დიასამიძე ალექსანდრე,**—მიხეილის პროსპექტი, სახლი დოლუხანოვისა, № 123.

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი** № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ა. ნ. დიასამიძე.** 11—12 საათ.

**ა. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 10—11 ს.

**ა. ი. ბალარჯიშვილი.** ბავშვებისა, 9—10 ს.

**ლ. მ. მონინი.** ქალის., საშვ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ და კვირა 2—1 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

**ტყეშელაშვილი.**—კბილის ექიმი იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათ.

ექიმი ქალი **მ. კ. იოსელიანი**—ქალისა და საშვილოსნო 11—12 ს. სამშ, ხუთშ. შაბათ.

**ზრ. ვ. სობოლევსკი** — დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**პ. ა. ბეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაკტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

46—8 ტელეფონი № 274 (წ.)

# ომის ამბები

## დეპეშები და წერილები.

ლიაოიანთან.—ჩინელების მზადება.—უკუქცევა.

უცხოელ გაზეთების კორესპონდენტები და სამხედრო მიმომხილველები სცდილობენ გამოიცნონ, მიატოვებს გენერალი კუროპატკინი ლიაოიანსაც და თავის ლაშქრით კიდევ ჩრდილოეთისკენ დაიწევს თუ არა? ერთი მათგანი აი რა აზრისაა: ამ ომის მიმდინარეობამ ლიაოიანი შუაგულად გადააქცია, მანჯურიის ლაშქრის მთავარ-ბანაკად ანუ დედა-ქალაქად და მისი დათმობა შეუძლებელია. იმას გარდა, რომ მისი დაცლა ზნეობრივად ცუდად იმოქმედებს რუსის ჯარზე, საეჭვოა, რომ ლიაოიანის დაცლა შეიძლებოდეს, რადგან იქ დიდი სამზადისი აქვთ რუსებს და გაზიდვა ვერ მოხერხდება. ამას გარდა მრავალნაირი მოწყობილობაც ამაოდ უნდა დარჩეს. ლიაოიანი ისეთი ადგილია, რომ გენერალი კუროპატკინი სხვაგან ვეღარ იპოვის იმის მსგავსს, რომ რიგიანად გაამაგროს. აქ იმას შეუძლიან, არამც თუ მტერს უშიშრად დაუხვდეს, არამედ გაილაშქროს კიდეც. გენერალ კუროპატკინს 200 ათასი მეომარი ჰყავს. ლიაოიანის წინ ვაკეა, სადაც იაპონელების სამთო არტილერია არ გამოდგება და, პირ იქით, რუსის ყაზახები ხელს გაშლიან და თავის ძალ-ღონეს იჩენენ. ამ საბუთების ძალით, საფიქრებელია, გენერალი კურპატკინი ლიაოიანთან უფრო გაბედავს ბრძოლას და ეს ბრძოლა დიდმნიშვნელოვანი იქმნება არა მარტო რუსეთის ისტორიაში, არამედ მთელ კაცობრიობის ბედ-იღბალზედაც კი იმოქმედებს (პ. ვ.).

—

ჩინელებს ეშინიანთ, იქმნება რუსების ჯარი ძალა-უნებურად ჩინეთის სამფლობელოში გადავიდეს, და ამიტომ ჯარს აგროვებენ და აძლიერებენ, რომ თავის ნეიტრალიტეტის დაცვა შესძლონ. როგორც ამბობენ, ჩინელები მეტად დიდს ჯარს აგროვებენ. ნიუ-ჯუანიდგან იწერებიან, ახალგაზრდა ჩინელები სანიმუშო ჯარში მიჰყავთ, რომლის უფროსებად იაპონელები არიანო. გენერალ ივანშიკაის ამ ჟამად 150,000 მეომარი ჰყავს და კიდევაც ემატებაო. ჩინელები თავს იმით მართლულობენ, რომ საჭიროა ჩინეთმა ნეიტრალიტეტი დაიცვას, თუ რომ რუსები გადასცილდებიან ომის ველის საზღვარსაო. (ნოვ.).

—

ვ. ს. ნემიროვიჩ-დანჩენკო სწერს გაზ. რუს. სლოვოში.

გინახავთ როდისმე, ჯარი რომ ბრძოლაში პირს იბრუნებს, უკან იწევს ანუ გარბის?—როგორც გნებავთ ისე უწოდეთ და ღმერთმა ნუ ჰქმნას, რომ ამისთანა თავგზა არეული და თავზარ დაცემული ჯარი გაჩვენოთ დღ, მით უმეტეს,—შეგახვედროთ!

მე ერთბაშად ვერც-კი მივხვდი, რა ამბავია?

წინ, გადაღმა, უღელტეხილს იქით, რაღაც გრგვინვა იყო. მე მეგონა ჩვენს მარჯვენა ფრთას ახალი ჯარი მიშველებია. მე ჩემ ხუნხუზს (ცხენს) მათრახი ვშვლიპე და გავეჩქარე შესახვედრად... საჩქაროდ ავედი აღმართს. დავხედე და ვერა გავიგერა რა. საშინელი და უშველებელი, გაერთებული და მთლად გამტვრიანებული ჯგუფი ვიწრო ხეობაში წინ იწევს აღმართზე ჩრდილოეთისაკენ. მიიწევს აჩქარებით, უწეს-რიგოდ არეულ-დარეული და ხმა-ჩაკმენდილი. მხოლოდ იმიტომ არ იშლება ეს ჯგუჯი და არ იფანტება აქეთ-იქით, რომ სხვა გზა არ არის.—ვიწრო ხეობა შეზღუდულია მაღალ კლდეებით. არც კი იყურებიან აქეთ-იქით,—თითქო ნაპირებიდგან მდინარე გადმოვარდნილა და მოგუბებული წყალში ერთს კალაპოტში ჩავარდნილაო.

გამტვერიანებული ჯგუფი უაზროდ მიისწრაფის მთისკენ, ჩრდილოეთისკენ. მოწინავეებს უკანანი აწვებიან და, შეჩერება რომ უნდოდეთ კიდეც, შეუძლებელია. გაერთებული უთავბოლო ჯგუფი წინ იწევს, აღმართზედ ადის და იქიდგან ძირს ეშვება.

რა არის, რა ამბავია? თითქო ჩვენ გავიმართჯვეთ. ეხლა არ იყო, აქედგან ცოტა მარჯვნივა მხიარული სალდათები ვნახე... იქ გამარჯვება უხაროდათ და დღესასწაულობდნენ, რომ ერთხელ მაინც ბედმა გაუღიმა, ესენი სადღა გარბიან?... ვაცქერდები, ეს სხვა პოლკია, ის არ არის, რომელიც ეს არის ეხლა იქითა ვნახე. მივუახლოვდი,—ჯარის კაცები თავს მაღლა არ იღებენ, არც კი მიყურებენ. პირქუშად თავდაღუნულნი, ერთის აზრით გატაცებულნი და შეფიქრიანებულნი არიან. სახე მოღრუბლული აქვთ.

— ეს რა ამბავია, სად მიეჩქარებით, ძმებო!

სიჩუმეა.

ვერა გამიგია-რა, ვერა მომისაზრებია-რა. იქმნება მიეჩქარებიან, რომ მტერს გზა გადუჭრან? მაშ ჩრდილოეთისაკენ რად მიდიან, ეგრე ხომ გზას გაიგრძელებენ და მტერს ხვალამდე ვერ შემოუვლიან.

— იქ, ძმებო, გამარჯვებას დღესასწაულობენ. მარცხენა ფრთაზე გენერალმა გენგროსმა იაპონელები დაამარცხა და უკუ აქცია.

ყურიც არავინ მათხოვა. ამათ გამარჯვებისა არა სცხელათ. იქ, სადღაც, სხვებმა იმხიარულონ, იცინონ, იხუმრონ, აქ კი სულ სხვაა... აგერ, მაღლა ცაში ყუმბარა გასქდა და ეს ჯგუფი ისე შეკრთა და შეხტა, როგორც ერთი კაცი, და უფრო მიაწვა მოწინავეებს და გაეჩქარა.

მეც მივყე—მივყე ამ მტვრით დაფენილ მდინარეს, ვეღარ დავახწიე თავი და აკი გამაქანა... მარჯვნივ მიმაბრუნებს, მარცხნივ მომაბრუნებს და სულ მიმაქანებს, დაბლა ხაროში ჩამაგდებს, მაღლა ამიტივტივებს და სულ მიმეზიდება ეს უენო დაღვრემილი და თავგზა არეული ჯგუფი.

— ეს რა ამბავია!—ვეკითხები აფიცერს, რომელიც გავარჩიე ამ ჯგუფში.

— ნაბძანებია, უკან დავიწიოთ.

— ეგ შეუძლებელია. განა სად იყავით?

— შუაგულ შუბლში.

— შეაჩერეთ ჯარი. იქ, აღმოსავლეთისკენ, გენგროსმა გაიმარჯვა. იაპონელები გაიქცნენ.

— აბა სცადეთ. მე დავხრიწიანდი. ხმა გაგვიწყდა ყვირილით... შეჩერდით... მეორე როტა, შეჩერდი!..

ჰყვირის, რაც ძალი და ღონე აქვს. ვყვირი მეც. ჰყვირის ფელთებელი და უნტერ-აფიცრები. მაგრამ მეორე როტა ყრუდ, შავბნელად, უსიტყვოდ სულ წინ მიეჩქარება და აქედ-იქითაც კი არ იყურება. მოჩანს აღმართზე გამტვერიანებული ზვავი და ზედ გაპრიალებული შტიკები. რომლებიც მაღლობიდგან ძირს სადღაც ეშვება... ცაში ზუზუნებს. ფოლადის მათრახები კამარას ეფარებიან, ყუმბარები სკდება, თეთრი ბოლი მაღლა ადის და ჩვენ-კი თავს ტყვია სეტყვასავით დაგვატყდა.

— მაგ გზით ხომ ვანზელინს მიხვალთ.

— თუნდ ეშმაკებში. აბა მე რა ვიცი.

— იქნება თქვენ აქა ხართ საჭირო?

— ბრძანებელი ვინ არის?

— გაგზავნეთ კორპუსის უფროსთან.

— ის ეძებს. ამბობენ სადგურზე არისო. მის ქვეშ ცხენი მოუკლავთ. ვერ იპოვეს. რკინის გზის სადგურზედაც არ არის... არსად არ არის.

აფიცერი თან და თან დამშვიდდა.

— თქვენ საით მიხვალთ?

— მარჯვენა ფრთისკენ.

— მარჯვენა ფრთაც ხომ აღარ არის?

— როგორ თუ არ არის?

— ისიც უკან იწევს.

— არა, ეგ ტყუილად გგონიათ. აი ეხლავ გავცდები ამ ხეობას, გზისკენ გადავალ, სოფლისკენ.

— ღმერთმა დაგიფაროთ.

— რად?

— ხეობაც იაპონელებმა დაიჭირეს, სოფელიც, დამალულან ქოხებში და ისვრიან.

— რას ბძანებთ, იქ ხომ დაჭრილების ბინა იყო?

— იყო.

— ეხლა?

— ზოგი ტყვია-ყუმბარებით დახოცეს და ზოგიც ჩვენებმა გააცალეს. გახსომთ ქალა, სადაც გუშინ წითელი ჯვარი იყო?

— დიაღ.

— ისიც აღარ არის. ისე გაუშიშვლებიათ ტყვიით, თითქო ზამთარმა დააყრევინა ფურცელიო. ქალაში ეხლა გახრეგილი ჯოხები-ღაა.

— ნახვამდის, მივდივარ.

— მაინც იქით?

— მაშ სად? თქენ ხომ არ გამოგყვებით. სჯობს იცოდე, სად მიდიხრ, ვიდრე უგზო-უკლოდ მიაფრატუნებდე, და არ იცოდე, სად და რისთვის.

— ეგ ჩვენ გადმოგვკარით?..

კარგა რომ გავსცდი, უკან მივიხედე. იგივე აფიცერი ხელით მანიშნებდა: დაბრუნდი, ჩქარა დაბრუნდიო! მაღლობიდგან კვალად ძირ ეშვებოდა პრიალა შტიკ-ჯაგროსანი ზვავი, გარშემო და მოშორებით ჰექა-ქუხილი, ტკაცა-ტკუცი და გრიალი ისმოდა...

## ტფილისი

*** მკითხველთ უთუოდ ეხსომებათ, რომ თავ. დ. ს. ჭავჭავაძემ ანდერძით დასტოვა 400,000 მან. კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულებაში სწავლა-აღზრდის საქმეთა საჭიროებისათვის. განსვენებულ ჭავჭავაძის მემკვიდრეებმა განუცხადეს ოლქის სასამართლოს, რომ თავ. ჭავჭავაძე იმ დროს, როდესაც ანდერძი შეადგინა, სრულს ჭკუაზედ არ იყო და სთხოვეს სასამართლოს ხსენებულ ანდერძის გაუქმება და ნაანდერძევ 400 ათას მანათის მათდა სასარგებლოდ გადაცემა. ეს დავა დიდი ხანია ჭიანურდება სასამართლოებში და დღემდე არავითარი დაბოლოვება არ მიეცა. ახლა, როგორც „ნოვ. ობოზრ.“-ს ატყობინებენ, კავკასიის სამოსწავლო ოლქის წარმომადგენელს თურმე მოლაპარაკება აქვს თავ. დ. ს. ჭავჭავაძის მემკვიდრეებთან, გავათავოთ როგორმე ეს დაუბოლოვებელი დავა მორიგებითო და 400,000 მანათი შუაზედ გავიყოთო.

*** დღეს, 1-ლ აგვისტოს, ალექსანდროვის ბაღის ზემო ნაწილში ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოზი ექვთიმე აკურთხებს წყალს.

*** დღეს, 1-ლ აგვისტოს, ქალაქის გამგეობის სადგომში დანიშნულია ტირაჟი ქალაქის მე-3 საობლიგაციო სესხისა, 9,500 მან.

*** ხვალ, 2 აგვისტოს, ქალაქის საბჭოს სადგომში სხდომა ექმნება ტფ. სასანიტარო ნაწილთა მზრუნველთ.

*** მთავარ-მართებლის კანცელარიამ აცნობა ტფ. გუბერნატორს, რომ ეისკის ციხეში საოფლე უკვე მოისპო და საოლქო შტაბმა განკარგულება მოახდინა, რომ ამ ციხეში ტუსაღთა ეტაპით გადაყვანა განახლდესო. კანცელარია სთხოვს ტფ. გუბერნატორს საჭირო განკარგულებათა მოხდენას ამის თაობაზედ.

*** ტფ. გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელმა გუშინ, 31 ივლისს, მიჰმართა წინადადებით ტფილისის გუბერნიის ყველა მომრიგებელ შუაკაცთ, მიიღონ მხურვალე მონაწილეობა სამაზრო-სასანიტარო კომისიების მოქმედებაში, რათა ხოლერა არ იქმნას შემოტანილი კავკასიაშიო. იმ მომრიგებელ შუა კაცით, რომელნიც სამაზრო ქალაქებში სცხოვრობენ, გუბერნატორი ავალებს, რომ სასანიტარო კომისიების ყველა სხდომებში მონაწილეობა მიიღონ, როგორც კომისიის წევრებმა.

*** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი მ. რ. ზავადსკი გუშინ, 31 ივლისს, ტფილისიდგან პეტერბურგს გაემგზავრა სამსახურის საქმეთა გამო. სამოსწავლო ოლქის მზრუნველის თანამდებობის დროებით აღსრულება მიენდო საოლქო ინსპექტორს ბ-ნს ლიაპატინსკის.

*** ტფ. დედათა პირველ გიმნაზიის დირექტორმა აცნობა ქალაქის გამგეობას, რომ ამ გიმნაზიაში ქალაქის სტიპენდიანტმა ქალმა ეფემია შუაქრიშვილმა სწავლა დაამთავრა და სტიპენდია განთავისუფლდაო. დირექტორი სთხოვს ქალაქის გამგეობას, დანიშნეთ ამ ადგილზედ ვინმე ახალი სტიპენდიანტიო.

*** ტფ. ქალაქის მოურავის მოადგილემ, თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა წარუდგინა ბ-ნ გუბერნატორს ყველა დაბეჭდილი ეგზემპლიარები იმ საგნის შესახებ, თუ სად უნდა გაიმართოს უმთავრესი საქალაქო საელექტრონო სადგური.

*** ტფ. სახელოსნო სასწავლებლის დირექტორს 300-ზედ მეტი თხოვნა მიუღია ამ სასწავლებელში შესვლის მსურველთაგან. თავისუფალი ადგილი კი სასწავლებელში ხულ 75 ია.

*** ამას წინად ვწერდით, რომ ქ-ნი როსტოვსკაია ალექსანდროვის ბაღში სამკითხველოს გამართვას შუამდგომლობს ქალაქის გამგეობის წინაშე: ქალაქის გამგეობას შეუწყნარებია ეს შუამდგომლობა და ქ-ნი როსტოვსკაია უკვე შეუდგა სამკითხველოს მოწყობას. სამკითხველო იქნება ხეებს ქვეშ, ჩრდილში.

*** გაზ. „ბაკინსკია იზვესტიაში“ დაიწყო ფელეტონების ბეჭდვა ქრ. ა. ვერმიშევის წიგნის შესახებ. პირველი ფელეტონი დაბეჭდილია 167 №-ში.

*** ამ დღეებში ტფილისში მოელიან სატყეო დეპარტამენტის ვიცე-დირექტორს ტ. სოვ. ბ-ნ ლობკოვსკის, რომელსაც მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო ჰგზავნის კავკასიაში სხვა და-სხვა საქმეთა მოსაგვარებლად.

*** 29 ივლისს ტფ. სამოსამართლო პალატის სისხლის სამართლის 1 ლმა დეპარტამენტმა აპელაციურის წესით განიხილა საქმე თელავის მაზრის სოფ. ყვარელის მცხოვრებთა სიმონ საბრალიშვილისა, საბა სეფაშვილისა, ივანე ამეთაშვილისა და ის. ფირანაშვილისა. რომელთაც ჰბრალდებოდათ, რომ ისინი, წინ და წინვე მოფიქრებითაც და ერთმანერთთან შეთანხმებით, 1903 წლის 17 დეკემბერს, საღამოს, თავს დაესხნენ სოფ. ყვარელისავე მცხოვრებს კოკორაშვილსა და მისს ცოლს, დაუწყეს ცემა და მოსთხოვეს ფული. ამასთან, საბა სეფაშვილმა ამოიღო ხანჯალი და სიკვდილს ემუქრებოდა სიმონ კოკორაშვილს, რომელიც რამდენსამე ალაგას დასჭრა. ამ დროს ანასტასია კოკორაშვილისამ ივანე ამეთაშვილს გაცდა 40 მან., რომელიც მას თანა ჰქონდა, და აჩვენა სკივრი, რომელშიაც ფულს ინახავდნენ. ბოროტ-განმზრახველთ სკივრიდგან წაიღეს 80 მან. და სხვა-და-სხვა ნივთები, რის შემდეგაც დაიმალნენ. კოკორაშვილებმა იცნეს თავიანთის სოფლისავე მცხოვრებნი. ტფ. ოლქის სასამართლომ განიხილა ეს საქმე და ყველა დამნაშავეთ მიუსაჯა ყოველისავე უფლებათა და უპირატესობის ჩამორთმევა და თითოს კატორღაში 8 წლით გაგზავნა. სამოსამართლო პალატამ გაამართლა ივ. ამეთაშვილი, ხოლო დანარჩენთა შესახებ კი უცვლელად დაამტკიცა ტფ. ოლქის სასამართლოს განაჩენი.

*** 30 ივლისს ქალაქის გამგეობამ აცნობა ბელგიის უსახელო საზოგადოებას, რომ ამ უკანასკნელს, ქალაქთან დადებულ პირობის ძალით, ნება არა ჰქონდა ორთაჭალის ცხენის რკინის გზის ლიანდაგზედ მოძრაობა შეეწყვიტნა, თუ წინ და წინვე ქალაქს არ აცნობებდა ამ გარემოებასაო. თავ. არღუთინსკი-დოლგორუკოვს (გამგეობის წევრს), ქალაქი შეაქვს ქალაქის გამგეობაში ბელგიის უსახელო საზოგადოების დაჯარიმების შესახებ.

**მცირე შენიშვნა ბერლინის უნივერსიტეტის სამკითხველოს დათვალიერებისა გამო.**

(საკუთარ. კორესპონდენტისაგან).

ბერლინის უნივერსიტეტში უკვე დამთავრდა საზაფხულო სემესტრი და უნივერსიტეტის გამგეობამ კიდეც აღბეჭდა სხვა და სხვა ლექციის განაწილების ნუსხა, რომლის ფრიად საინტერესო შინაარსს შემდეგს წერილში გავაცნობ მკითხველებს. ამ ნუსხის გაცნობა მკითხველთათვის ფრიად საჭიროდ მიგვაჩნია, რადგან ეს ნუსხა ბევრად განირჩევა რუსეთის უნივერსიტეტების ამგვართავე ნუსხათაგან.

ამ ჟამად კი ჩვენ გვსურს თქვენი ყურადღება მივაქციოთ ერთს არა სასურველს გარემოებას, რომელიც ჩვენ, როგორც ქართველმა, შევნიშნეთ ბერლინის უნივერსიტეტის სამკითხველოში. უნივერსიტეტის შენობის უმ-ავრესს კორპუსის პირდაპირ, ერთსა და იმავე ეზოში, აგებულია ორ-სართულიანი შენობა, რომლის ზედა ნაპირას, სახურავის გასწვრივ, ქუჩის პირზე (фасадъ), აღბეჭდილია მსხვილის ასოებით შემდეგი წარწერა: «Akademische Leje-Halle», ანუ ჩვენებურად რომ გადმოვთარგმნოთ «უნივერსიტეტის სამკითხველო».

სამკითხველოში შესვლის ნება არა სტუდენტებსაცა აქვთ, მხოლოდ ეს უკანასკნელნი უნივერსიტეტის სამკითხველოს სასარგებლოდ იხდიან ყოველ შესვლაზე

## ფელეტონი

**შ უ რ დ უ ლ ი.**

(საკვირაო გაზეთი).

**წელიწადი მეორე.**

**№ 25.**

**გ ო დ ე ბ ა**

(ყვძღვნი ჩ. მ—ს).

ეს ჩემი გული,
შენით ბედკრული,
გულის ფიცარსა რად უკაკუნებს!!.
მისგამო წყლული,
მწუხარე სული,
გაფრენას ფიქრობს და არ ისვენებს.
რა შენი დარდი,
ის ჩემი ფარდი,
მე შემეხორცა და არ მშორდება,
მე ამ შფოთვაში,
მუდამ ბოდვაში,
ვიცი, ხეირი არ დამეყრება.
მაგრამ იმედი,
არა წარმწყმედი,
ჩემს გულში არის შთაფუძვნებული,
დროთ ვითარება
შენც შეგეცვლება
და მით ვიქმნები განკურნებული.
თორემ შენს ხელში,
ჩემ სიცოცხლეში,
ვერ ვეღირსები ბედნიერებას,
რა შენი ხელით,
ცეცხლებრ დამწველით,
მოვშორვებულვარ ჩემს ნეტარებას.

კორტოხა.

**«წყეულიმც იყავ!»**

ტიროდა... მუშტარი ბუზივით ირეოდა საკანდიტეროში, წარა-მარად ფულს აწვდიდა. ის კი ვერაფერს ხედავდა, ვერაფერს გრძნობდა: დახლის თავს იდაყვით დაჰყრდნობოდა და გულმოსაკლავად ტიროდა, იმდუღრებოდა.

წუხელ «მასთან» ხელი-ხელ გაყრილი ღამის პირველ საათამდე ბაღის ხეივნებში დადიოდა, სიყვარულის ცეცხლში იწვოდა, სამოთხის ნეტარებით სტკბებოდა; სახე აუწერელის ბედნიერებით ასტკრეცოდა, ეშხით მიბნედილი თვალები მილოლოდნენ მეტის გრძნობისაგან. აცახცახებული, ვნებათა ღელვით შეპყრობილი ეკვროდა «მას» მკერდში; თვალებში მთხოვარივით შესცქნაოდა და დნებოდა. ხან «მისი» ალერსის პასუხად, ფათალოსავით შემოეჭნებოდა კისერზედ, თავდავიწყებით ჰკოცნიდა, იბნიდებოდა, სიყვარულის მათრობელა ნექტარსა სვამდა.

ბოლოს... ჩვეულებისამებრ, ხშირს, დაბურულს ხეივანს შეეფარნენ და... იქ კიდევ სიყვარულით სიყვარულის დატკბობა...

დღეს კი ტირის გულ დათუთქული, სასოწარკვეთილი. მაღაზიის სანათები კი გუზგუზებენ, სინათლის შუქს უხვად ისვრიან და თითქო გამონაცემს სინათლეს შესტრფიან, შეჰფათფათებენ; უხვადვე აბნევენ სხივებს მშვენიერს, მტირალს სახესაც.

ის კი ვერ ამჩნევს ამ ალერსს და გულამომჯდარი ტირის.

«ის» მან გაიცნო თავის მეგობარ ქალთან. «მისმა» ლაპარაკმა, რომლის საგანიც დღევანდელი უკულმართობა, ძალმომრეობა, ძლიერისგან სუსტის დაჩაგვრა იყო, მოჰხიბლა. შეუბრალებელმა ამურმა იმავ წამს თვისი მახვილი ისარი დაასო მის მგრძნობიარე გულს. გაიცნეს ერთმანერთი, გაცნობას მოჰყვა დაახლოვება, დაახლოვებას მოწონება, სიყვარული და სიყვარულს კიდევ თანამდევარი კავშირი, და... თავისი კდემა მოსილი ქალწულება, სირცხვილი, ნამუსი, მშობლების ხათრი, თვისი სიამაყე, თავმოყვარეობა, რომელთა ძვირფასი სხვა არა მოეძოდარა, «მას» მსხვერპლად შესწირა, «მისს» მათრობელა ალერსს ანაცვალა.

ახლა? ახლა განვლილ ბედნიერ წამების ნაცვლად ძიმწარესა სვამს, თვისი გაუფრთხილებლობის ნაყოფს განიცდის. ახლა, როდესაც ორი-სამის თვის შემდეგ «მისი» შვილის დედა უნდა გახდეს, «მან» შეუბრალებლად, უმიზეზოდ ზურგი აღრიკა, გული აჰყარა.

თუმცა წინად ზეცას და ქვესკნელს ეფიცებოდა, სამოთხეს და ჯოჯოხეთს თავდებად უდებდა სიკვდილამდე ერთგულებაზე, ცოლ-ქმრობას ჰპირდებოდა, მაგრამ... როცა თვისი ბინძური ქვენა გრძნობა დაიკმაყოფილა, მისი ალერსი მოჰყიჰდა, მსხვერპლად შეიწირა იგი, განშორდა, გულიდან მოიწყვიტა, თუ სადმე კი ჰქონდა გული.

«რათა? რისთვის?» ეკითხებოდა თავს და პასუხს ვერ ჰპოვებდა; ვერ ჰხედავდა მიზეზს, თუ რად დასწიხლა «მან» მისი ფაქიზი გრძნობა, რად შეუგინა, გაუთახსირა ნამუსი?!

მუხლზე «მისი» წერილი ედო და აცრემლებული, შუქ-დაბნელებული თვალებით ჩაჰკირკიტებდა ასოებს, რომელიც გარკვევით და დაკვირვებით იყო გამოხატული. «თქვენ, ელენე იოსიფოვნა, გატაცებით მიყვარდით, ვითარცა ღმერთს, გათაყვანებდით, ჩემი გული განხორციელებული, აბობოქრებული თქვენდამი სიყვარული იყო. ახლაც მიყვარხართ, ვფიცავ ჩვენს მოკლე, მაგრამ სამახსოვრო ნეტარებას. მაგრამ... ჩვენის კავშირის განგრძობა შეუძლებელი ღაა, აღარ დაიფარება, გამჟღავნდება და...

— ახლა იძახი, შე უნამუსო, გამჟღავნდებაო? გამჟღავნებული არ არის? მალე შენი შვილის დედა გავხდები, შე გულ გაყინულო!..

...«თქვენ, ძვირფასო და საუკუნოდ დაუვიწყარო მეგობარო, სახელი გაგიტუდებათ, თავი მოგეჭრებათ».

— უუ, შე ლირფო! მეტი და სახელის გატეხვა და თავის მოჭრა განა შესაძლებელია?

«ყველასაგან თითით საჩვენებელი, პირბოოში დედაკაცების საძიძგნელი გავხდები...»

„...სულით და გულით მოწადინებული ვიყავი, ჩვენი კავშირი უფრო გამემტკიცებინა, მაგრამ გარემოებამ მაიძულა, ეს ოცნების ფარდული დამეშალა და სულით და გულით დავობლებულიყავ, ჩემო ერთად ერთო საყვარელო!

«სხვა, უცხო და უცნობ ქვეყანას მგზავნიან სამსახურში. იქაურს არც ხალხს ვიცნობ, არც ჰავა—მდებარეობას და, თუმცა ჩემი გული სისხლით იწრიტება ამისა გამო, მაგრამ ჩვენი გაყრა აუცილებლივ საჭიროა: შენ იქ ვერ წაგიყვან...“

— რატომ, შე უღვთო? არ წამოგყვები თუ? მაგრამ სხვა აზრი აქვს მაგ შენს ვითამ წრფელს აღსარებას: მოგბეზრდი განა? ოოჰ...!

„...განვშორდეთ უჩხუბრად, ჩემო სულთქმავ!...

— გაიძვერა, ენა-მლიქვნელობას რომ ახლაც არ იშლის? თუ მტოვებ, მასხარად რაღად მიგდებ? არ კმარა ესოდენი ჩემი შერცხვენა?...

„...მშვიდობიანად განვშორდეთ ერთმანერთს, რომ ხალხი არ ავაყაყანოთ ჩვენზე. ჩემი მოწერილი ბარათები გამომიგზავნე...

— უჰ, შე სულმდაბალო, საზიზღარო, გეშინია განა, რომ სამართლის ძალით ჯვარი არ დაგაწერინო? მეც შენსავით სულმდაბლად დამსახე?... როგორ ზიზღსა მგვრი!...

„...ჩემი გული მარად შენი იყო და შენივე იქნება. იქნება, ღმერთმა ინებოს, კიდევ შევხდეთ ერთმანერთს, ძველებურად დავახლოვდეთ და ჩვენი ტკბილი კავშირი, ტკბილი სიყვარული განვაახლოთ“...

— ღმერთო, დამიფარე! არავითარი პატივისცემა არა აქვს ჩემი! მრთლად უზნეო დედაკაცად მივაჩნივარ... რა ცეცხლია! ოხ-ხო-ხო!... ჩაიქვითინა მწარედ და მრთელმა სხეულმა ცახცახი დაუწყო.

— მღალატობ და თვალს მიბამ!? მღალატობ და უმეტესად მამცირებ, მიწასთან მასწორებ?! ნუ თუ, შე გრძნობა გარეცხილო, არავითარი პატივის ცემა არ გაქვს ჩემი? მოღალატე!! არ კმარა?... კიდევაც დამცინი?... ღმერთმა გკითხოს!...

ცალკე შებღალული სიყვარული, ცალკე ძვირფასი, ოცნებასავით ტკბილი ბედნიერების დაკარგვა უკლავდა გულს, სულს უხუთავდა. გაავთრებული დასწვდა ბარათს და ნაკუწ-ნაკუწად აქცია. ხალხი კი ირეოდა და გაკვირვებით შესცქეროდა მისს აცრემლებულს სახეს. ბევრი მუშტრის თვალით ათვალიერებდა. წამდაუწუმ მიჰმართავდნენ, «ბარიშნა, ფული ინებეთ, «ბარიშნა», ხურდა გვიბოძეთ!» ის კი თავ ჩაქინდრული ვერაფერს ჰხედავდა, არაფერი ესმოდა. დაკარგულს ბედნიერებას და თავის ბედშავობას დასტიროდა.

25 პფენინგს, ანუ ჩვენებურად რომ ვიანგარიშოთ, 11—12 კაპეიკს. სამკითხველო მოთავსებულია ვეებერთელა სალონში, რომლის შუა ადგილას თვალსაჩინოდ აღმართულია დიდი სვეტი და ამ სვეტის თავზედ შავ რგვალ ფარადაზედ თეთრის ასოებით ლათინურად აღბეჭდილია: «Silentium». სვეტის ირგვლივ რგოლებივით ჩამოდგმულია პატარ-პატარა შავ-შავი მაგიდები, რომელზედაც ორი-სამი მკითხველი ადვილად მოთავსდება. მაგიდების წყებათა რიცხვი თავდება სალონის ოთხივ-მხრივ კედლებიდგან ერთის ანუ ორის არშინის სიშორეზე. ამ ადგილას კი მოთავსებულია ირგვლივ უბრალო სკამები კედლებისაკენ პირ-შექცევით. სამკითხველოს ოთხივე კედელი ერთის კაცის სიმაღლეზედ სულ მოჩითულია სხვა და სხვა ჟურნალ-გაზეთებით. თუ კი რამ ჟურნალ-გაზეთი მოიპოვება დედამიწის ზურგზედ, უნივერსიტეტის გამგეობას თითო ორ-ორი ცალი სამკითხველოსათვის გამოუწერია. სალონის კედლების შუა წელზედ ირგვლივ არშიასავით შავი თუნუქაა, რომელზედაც გარკვევით კითხულობ ცნობებს იმის შესახებ, თუ კედლის ამა თუ იმ ნაწილზედ სადაური ან რომელი გაზეთი ჰკიდია.

გულ-დასმით გადავათვალიერე ყველა ჟურნალ-გაზეთები, მაგრამ, სამწუხაროდ, ქართული ჟურნალ-გაზეთების ხსენება აქ წამლადაც არ მოიპოვება. თვითეულ ქვეყნის, თვითეულ ეროვნების ჟურნალ-გაზეთობას თავთავის ადგილი აქვს მიჩნეული შესაბამის წარწერით. გერმანული, ფრანგული, ინგლისური, იტალიური, პოლონური, რუსული, სომხური და, ვინ ჩამოთვლის, რამდენი სხვა და სხვა გაზეთი აქ არ მოიპოვება. ქართულ-ჟურნალ გაზეთობა კი სანიმუშოდაც არ არის იმ სამკითხველოში, რაც, გარდა სტუდენტობისა, რომლის რაოდენობა 12,000-სს აღემატება, გარეშე უცხო მიმსვლელ მომსვლელი ათასობით აწყდება, განსაკუთრებით ზაფხულობით: ჟურნალ-გაზეთების გამოწერა, რასაკვირველია, უნივერსიტეტის მოვალეობაა, ხოლო, რადგან ამ ჟამად ქართველ სტუდენტთა რაოდენობა მთელს უნივერსიტეტში მცირეა (სულ ხუთი კაცია), სწორედ ამის გამო საჭიროდ არ დაუნახავს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას ქართულ ჟურნალ-გაზეთების გამოწერა.

ჩვენის ფიქრით, ქართული ჟურნალ გაზეთობის უქონლობა ბერლინის უნივერსიტეტის სამკითხველოში მეტად უხერხულია, როგორც აქაურ მცირე გუნდ ქართველობისათვის, ისე ჩვენის ქვეყნისა და ჟურნალ-გაზეთობისათვისაც ამიტომ ძრიელ კარგი იქნებოდა. რომ ჩვენი რედაქციები თითო ცალს თავის გამოცემებისას უსასყიდლოდ მოაწოდებდენ უნივერსიტეტის სამკითხველოს ერთის წლით, სანამ აქაურ ქართველთა სტუდენტობის რაოდენობა ცოტათი მაინც იმატებდეს. ამ რიგად ქართული რედაქციები ერთი, რომ საშუალებას მისცემენ აქაურ ნივთიერად ხელ-მოკლე სტუდენტობას თავის დროზე თვალ ყური ადევნოს თავის სამშობლოს ზრდა-განვითარებას, და მეორე, რომ თავიან გამოცემებს მოუპოვებენ სათანადო ადგილს ისეთს თვალსაჩინო დაწესებულებაში, როგორიცაა ბერლინის უნივერსიტეტის სამკითხველო. ეს გარემოება კი მეტად საგულისხმიერო იქნება, როგორც თვით ამ გამოცემებისათვის, ისე იმ ქვეყნისათვისაც, რომლის სამსახური, მიუხედავად ათას მრავალ სხვა და სხვა დაბრკოლებისა, თავს უდვიათ ჩვენს ქართულ ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს.

ა. ჟუმისთაველი.

# ნარკვევი
(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

აი რა მშვენივრად მსჯელობს დღეს თ-ეი მეშჩერსკი თავის გაზეთში.

მუდამ იმას ვამბობდი და ახლაც ვამბობ, რომ დიდი კავშირია ორ გარემოების შორის. ერთი გარემოება ის არის, რა გზას ადგია მინისტრი, სიმართლეს უმალავს თავის ხელმწიფეს თუ არა. მეორე გარემოება კიდევ ის არის: ეშინიან თუ არა სახელმწიფო მოღვაწეს თავის ადგილის დაკარგვისა?

ვინც თანამდებობას ეძებდა იმიტომ, რომ ეს თანამდებობა უდიდეს ბედნიერებად მიაჩნდა, რაკი იშოვის ამ თანამდებობას, მერე სულ იმის ფიქრსა და ზრუნვაშია, თანამდებობა არ დაეკარგოს სიმართლის თქმით მეფის წინაშე. ამიტომ ყოველივე, რაც იმის აზრით, ადგილს დააკარგვინებს, უმჯობესია არა ვსთქვათ.

მაგონდება, რომ ოდესღაც გკითხე მინისტრს:

— სრულ სიმართლეს ატყობინებ ხელმწიფეს თუ არა?

— არა,—მიპასუხა მინისტრმა,—სრულს სიმართლეს არ ვატყობინებ, იმიტომ რომ სრული სიმართლე თუ შევატყობინე, აქვე დავბადდები, იქმნება უვარგისია მაგ კაცის პოლიტიკაო.

ამ პასუხში მხოლოდ თავის დღევის პრაქტიკული ფილოსოფიაა. ახლა წაუკვირდით ამ პასუხს და მიხვდებით, მიხვდებით კი არა, ზრზუნას დაგაწყებინებთ იმ აზრის გათვალისწინება, თუ რამოდენი მავნებლობა და ბოროტება შეიძლება წარმოსდგეს რუსეთისათვის, რამოდენად ევნოს დღთივ მის განსაკუთრებულად დადგენილის ინტერესებისათვის, უკეთუ მეფის საქმეში ადამიანი მხოლოდ იმას სცდილობს, ღმერთი არ გამიწყრეს და ჩემს საკუთარს საქმეს, ჩემს პირადს ბედნიერებას არა ვავნოთ-რა, არა ვუხიმანოთ რაო.

მახსოვს გრაფი ტოლსტოი, როცა შინაგან საქმეთა მინისტრი იყო. როგორ ეკიდებოდა ამ სიმართლის თქმის საქმეს. მტკიცედ იდგა იმ აზრს, რომ მუდამ და ყოველთვის სრული სიმართლე ელაპარაკა. ამიტომ განსვენებული იმპერატორი ალექსანდრე III დიდადაც აფასებდა ამ თვისებას გრაფის ხასიათისას. სრულის სიმართლის ცოდნა ყოველსავე ცხადად უთვალისწინებდა ხელმწიფეს და შეძლებას აძლევდა მტკიცე მიმართულება მიეცა შინაგანის გამგეობის საქმისათვის.

როცა თვით მპყრობელობამ იცოდა ყოველივე სიმართლე, იგი მაღლდებოდა, ხოლო როცა მიშით და სიმხდალით, სრულს სიმართლეს უმალავდნენ, თვით მპყრობელობასაც ძალა ეკარგებოდა.

ვინც ჩაუღრმავდება თვით მპყრობელობის სიღრმეს აზრს, ცხადად დაინახავს, რომ ყოველივე მისი ძალა, ყოველი მისი სიწმინდე ის არის, თვით-მპყრობელობით შემოსილი მეფე გადიქცეს მცოდნედ სრულის სიმართლისა თვისის ერის შესახებ, ხოლო ამ სრულის სიმართლის ცოდნით დონისძიება ეძლევა მეფეს თითოეულს თავის აზრს, თითოეულს თავის საქმეს ნაყოფიერი ძალა მისცეს თვისის ერის სასიკეთოდ და საკეთილდღეოდ. პირ-იქით, სრულის სიმართლის უთქმელობა სახელმწიფო მოღვაწის მიერ ასუსტებს ამ ძალას, რომლითაც გამოუთვილდება ყოველივე საჭიროება ერის ცხოვრებისა.

აი ამიტომ, როცა კანონებს სცდილობს ჩაუფიქრდეს იმ საგანს, თუ რა ვისურვოთ დღევანდელ სამძიმო გარემოებაში ხელმწიფის მინისტრის მომავალ მოადგილესაგანაო, საყვარელი ერისა და ხელმწიფისასთვის ერის ძრიელს სურვილს ჰბადავს: იყოს იგი მოადგილე მღადებელი სიმართლისა, მარტოოდენ სიმართლისა, რათა ყოველივე სულითქმა მეფურის ხელმწიფებისა, თითოეული მოქმედება მისის კანონებისა, თითოეული მისი მაჯის ცემა სახიდველი იყოს ერისთვის, ვითომ თანითანებ და ბრწყინვა მეფის მიერ ცნობილის სიმართლისა, ეს შეგნება, ეს ცნობიერება ერისა ის კურთხეული ჩრდილი მისის ცხოვრებისა, რომლის ქვეშაც სიმძიმე ამ ცხოვრებისა ადვილი ასატანი იქნებოდა, და ტვირთი შრომისა და ვაჟრ... ჭაპანისა იყოს კეთილ-სანეტარო!

# დეპეშა
(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

30 ივლისს.

**პეტერბურგი.** «მისს უდიდებულესობას ხელმწიფა იმპერატრიცას ალექსანდრა ფეოდორეს ასულს შეეძინა ძე მემკვიდრე ცესარევიჩი და დიდი მთავარი, რომელსაც სახელ უწოდეს ალექსი, 30 ივლისს ამ წლისას 1 საათსა და 15 წუთზე ნაშუადღევისა. პეტერგოფი». ხელი მოაწერა საიმპერატორო კარის მინისტრმა გენერალ-ადიუტანტმა ბარონ ფრედერიკსმა.—ბიულეტენი. «მისი უდიდებულესობა ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული განთავისუფლდა მშობიარობისაგან 30 ივლისს 1 საათსა და 15 წუთზე დღისით და შეეძინა ძე მემკვიდრე ცესარევიჩი და დიდი მთავარი, რომელსაც სახელწოდა ალექსი. მისი იმპერატორებითი უდიდებულესობა და ახლად დაბადებული კარგად არიან.» ხელი მოაწერეს: ლეიბ-აკუშერმა დმ. ოტტმა. ლეიბ-ხირურმა მისის უდიდებულესობისა გირშმა. პეტერგოფი, 30 ივლისი 1904 წლისა».—როგორც «რეიტერის სააგენტო» იუწყება, ფოსტას, რომელიც რუსის კრეისერებმა გემ «პრინც ჰერნიზე» დაიჭირეს, ჩაბარებენ ნაღასაკს, კობესა და ტოკიოში იაპონიის მთავრობასა გერმანიის საკონსულოს წარმომადგენელის თანადასწრებითა.

**პეტერბურგი.** დეპეშა გენერალ ადიუტანტის კუროპატკინისა მისს უდიდებულესობასთან 29 ივლისით: «დღეს აღმოსჩნდა, რომ მანჯურიის ლაშქრის სამხრეთ ფრთისაკენ მოდის მტრის მცირე მოწინავე რაზმები. მდინარე ლიაოს მიდამოებში, ინკოუს ზემოდ, მოქმედებენ ხუნხუზთა ბრბონი, რომელთაც იაპონიის აფიცრები ხელმძღვანელობენ. აღმოსავლეთ ფრთისკენ განსაკუთრებული ცვლილება არ მომხდარა.

**მუკდენი.** (საკ. კორესპ.). როგორც სჩანს, იაპონელებმა ანმანჯანისაკენ წინსვლა შეაჩერეს, ამბობენ, რომ ერთი ლაშქარი მიდის მდინარე ლიაოხის გაყოლებაზე, მეორე, მდგომარე ჩვენის პოზიციების აღმოსავლეთად, ნაწილს თავის პოლკებისას გზავნის პორტ-არტურისაკენ.— ხმა არის, რომ ეს მეოთხე დღეა პორტ-არტურთან ხმელეთის ფრონტს ესვრიან ყუმბარებსაო.

**ლონდონი.** ლორდთა პალატა. ლანსდოუნმა პასუხად სთქვა: ჩვენის აზრით, რუსის კერძო ფლოტის გემებს ნება არა აქვთ გაიარონ დარდანელი, როგორც სამხედრო გემებმა. «სმოლენსკისა» და «პეტერბურგის» საქმე ამ ჟამად ცოტა დაცხრა. ორთავე გემი გაიყვანეს მეწამულ ზღვიდან. სხვა გემების შესახებ იმავე ფლოტისა ოსმალეთმა მიიღო რუსის მთავრობისაგინ ოფიციალური განმარტება, რომ ის გემები ივლიან სავაჭრო ბაირაღით და იმათზე არ იქმნება არც სამხედრო სურსათ-სანოვაგე, არც იარაღი და არც კრისერებად გაიხმარებენ. საკონტრაბანდო საქონლის შესახებ რუსეთმა ომის დაწყებისთანავე გამოაცხადა წესდება. ჩვენ რუსის მთავრობის ყურადღება მივაქციეთ ამ საქმეზე და ვუჩვენეთ, რომ ყველა სურსათ-სანოვაგის კონტრაბანდად აღიარება ძალიან სახიფათო ახალი საქმეა. ჩვენ ამას ისიც დავუმატეთ, ვთვლით რა ჩვენს თავს ვალდებულად დავიტოვოთ უფლება ჩვენის შეხედულებისა ამ საგანზე, ჩვენ ახლავე პროტესტს ვაცხადებთ პრინციპის შესახებ, რომლის მიხედვით მეომარ სახელმწიფოებს უფლება აქვთ განსაზღვრონ, რომ ესა და ეს საქონელი, ყოვლის უმიზეზოდ, ცნობილია სამხედრო კონტრაბანდად. ბოლოს ჩვენ ვსთქვით, ჩავთვლით ჩვენს თავს ვალდებულად მივიღოთ გარდაწყვეტილება სადავლო სამარალი რომელიც არღვევს აღნიშნულ უფლებებსა, ანუ რომელიმე ძირეულ პრინციპს საერთაშორისო უფლებებისას, და ვერ დავსთანხმდებით, რომ დაღუპვა გემის «ნაიტ-კომანდერისა» შეიძლება გავამართლოთ საერთაშორისო უფლებითა. ეს საქმე ვლადივოსტოკის სადავლო სასამართლოს გარჩევის შემდეგ უნდა გადაიშინჯოს სააპელაციო სასამართლოსაგან. მე მგონია, რომ, თუმცა არა მეგობრული ინციდენტები იყო, მაინც ორთავე მთავრობა იმის ზრუნვაშია, რა ხერხი გამოსძებნონ ამ გმჭივრებიდან თავის დახსნისათვის. თუმცა მე ეჭვი არა მაქვს, რუსეთის მთავრობა მაინც იმ აზრს დაადგება, რომ იმას აქვს უფლება, ასე მიქცეს, მაგრამ იმედი მაქვს, რომ საფუძვლიან მოფიქრებისა და განხილვის შემდეგ, იქმნება ვიპოვოთ ისეთი ხერხი, რომ ამ კონტრაბანდის საქმის გამო მეგობრულს განწყობილებას მივაღწიოთ. საზოგადოებათა პალატაში ბალფურმაც ისევე ილაპარაკა, როგორც ლანსდოუნმა.

**ჩიფუ.** (რეიტერი) კრეისერი «ფიურსტ ბისმარკი» წავიდა ცინდაოდან. დიდის სიჩქარით დაემხადნენ წასასვლელად.

**მუკდენი.** (საკუთ. კორეპ.). როგორც პორტ-არტურიდან მოსულნი ამბობენ, 13 ივლისს ბრძოლის დროს «რეტვიზანი» გამოვიდა სადგომიდგან, რომ მონაწილეობა მიეღო იაპონელთა წინააღმდეგ. როცა «რეზვიტანი» გამოვიდა, იაპონიის კრეისერები, რომელნიც სჩანდენ ჰორიზონტზედ, მიიმალნენ. რამდენისამე ხნის შემდეგ გამოჩნდა მტრის ორი ჯავშნიანი გემი, რომელნიც მიუახლოვდნენ «რეტვიზანს» და დაუწყეს სროლა. «რეტვიზანმაც» დაუწყო სროლა. მეოთხე სროლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ერთი ყუმბარა მტრის ერთს გემ დაეცა საბოლეებს შუა, გემმა ორთქლს უმატა. ორთავენი მაშინვე წავიდნენ. მნახველებმა 20 ივლისს გაიგონეს ჩინელებისაგან, რომ ამ რამდენიმე დღის უკან ზღვაში იაპონიის ერთი დიდი გემი და ერთიც ცოტა მომცრო დაიღუპა. როგორცა სჩანს ეს ის გემები უნდა იყოს, რომელიც «რეტვიზანმა» დააზიანა.

---

— ბარიშნა, ფული ინებეთ, ფული! ხურდა გვიბოძეთ! კვლავ ხმა მაღლა გაიმეორეს... ადამაც შეუტია, ადგილიდგან დათხოვნას დაემუქრა.

სასოწარკვეთილმა, გაოგნებულმა, ხალხის უგრძნობლობით გაკვირებულმა, შესძახა: «ოო! აღარ შემიძლიან! ღმერთი იწამეთ! დამანებეთ თავი!» აიმართა, მწუხარებით დამანჭული სახე აიღო მაღლა, აცრემლებული თვალებით ხალხს შეხედა და მუდარებით ხელები გაუწოდა: «ღვთის გულისათვის, შემიბრალეთ!»...

სამარისებურმა მდუმარებამ მოიცვა დარბაზი. ის კი სლუკუნით, ქვითინით, სახეზე ხელებ აფარებული მეორე ოთახში გაბარბაცდა. დაეცა ხმელს ტახტზედ, სახე ხელებში ჩამალა და გულის შემზარავი ყრუ ქვითინი ამოხდა...

წამოჯდა ტახტზედ თვალებს უაზროდ ცეცება დაუწყო...

— ოჰ, ღმერთო!... «მე ულვთოვ, შემიბრალე, რა დაგიშავე?... რად მომიკალ შეუბრალებლად შენთვის მფეთქავი გული?... რა ბრალსა მდებ?... ნუ თუ იმას, რომ გულუბრყვილოდ მოგენდე, ვენდე შენს ალერსს? ვირწმუნე შენი ვერაგული ფიცი და სიყვარული? მღალატობ?... ოოჰ! წყეულიმც იყავ.

ა. დარჩიაშვილი.

## საქართველოს ამბები.

**დ. ხონი.** ზაფხული ხონში არშიყობის სეზონია. არშიყობს ყველა თავგამოდებით: ერი, ბერი, მღვდელი, ექიმი, მასწავლებელი, მოწაფეები, და სხვა-დასხვა. მოარშიყეთა გუნდში ამ ბოლო დროს ნიჭის პატრონებიც გამოჩნდნენ, რომლებიც ფიქრობენ ამ სეზონით ისარგებლონ და ცოტა სარგებლობა საზოგადოებასაც მოუტანონ, ამისათვის რამდენისამე მანდილოსანს განუზრახავს სიტყვების გამოგონება და მით ქართულ ლექსიკონის შევსება. საქმეს კიდეც შესდგომიან. ჯერ-ჯერობით მარტო ოთხი სიტყვა მოიგონეს: «კვინტიზმი, ბუჩქნიზმი, კოტრიალიზმი და ხაჭაპურიზმი», მაგრამ, იმედი გვაქვს, სეზონის დამლევამდე კიდევ ბევრ ახალ სიტყვას მოიგონებენ. რადგანაც ჩვენში საზოგადოთ ნიჭის ასამოძრავებლად წაქეზება, პრემია არის საჭირო, ამისთვის ჩვენც—ხონელებმა განვიზრახეთ დავაარსოთ დამფასებელი კომისია, რომელიც მოვალე იქმნება ყოველი ახლად მოგონილი სიტყვა დააფასოს და ღირსების მიხედვით გამომგონებელს პრემია გაუჩინოს. პირველი პრემია: სამი ლაყე კვერცხი, მეორე—მენდალი პრასის ლენტით და მესამე—მატრაბაზობის დიპლომი.

მზვერავი.

**ს. ახალქალაქი.** (გორის მაზრა). გვეშველა და წრეულ ძლივს სამკითხველო გაიმართა, მაგრამ სამწუხაროდ დღე ნაკლები გამოდგა და, მგონია, მალე განისვენებს წიაღსა შინა აბრაამისასა.

ამ სამკითხველოშია რაღაც ძველათ ძველი, გადაჟამებული და გაჭუჭყული გაზეთები. ღვთის წინაშე, უნდა სთქვას კაცმა, რომ თითქმის სუყველა ჟურნალ-გაზეთები აქვთ, რაც კი რუსეთის სახელმწიფოში გამოდის, გარდა ქართული გაზეთებისა. არის აგრეთვე სამიოდე დაფუტუნული წიგნი. მაგრამ წაკითხვა არ გინდა? აქაური ახალგაზრდობა, და ბებრებიც კი, მოიყრიან თავს სამკითხველოს მეორე ოთახში და არის ერთი ღრიანცელი, სწორედ მეორეთ მოსვლის ამბავია, რაღა! არშიყობა, სიყვარულის გამოცხადება, «პრედლოჟენიები», ლანძღვა-გინებაც გამწარებულ მოარშიყეთა; ყველანი დაფუნდრუკობენ; გეგონება, კაცი—გადასვლიანასა თამაშობენო. აბა, მითხარით, რა უნდა წაიკითხოს ადამიანმა ამ ჟრიამულში!...

თქმის ბირელი.

## ნარევ-ნაკვეს-გასათოვი.

### ეს რა ქრთამია?!..

რას დამაჩერდი ხმალ-ღვთრვერზედ,
სამსახურში ვარ, ჩემო ძმაო,
ნუ თუ გგონია, ქრთამი მიყვარდეს,—
ღმერთმა მაშოროს—არც მიჭამია!..

ვაჰ იმის ბრალი, ვინც სამსახურის
არა იცის რა,—ჯერედ ხამია,
სავსე ქისითა ოქრო რომ მისცე,
როდი მიიღებს,—იტყვის- ქრთამია!..

თუ კი სამსახურს არა ვღალატობ,
ფეხზედა ვსდგევარ ყოველ წამია;
ათასში ერთხელ კახურს რომ ვულაპავ,—
ნუთუ ესეც რამე ქრთამია?!..

თანამდებობის გამოისობით
მრავალჯერ ღვინი ჩავიშხამე,
თავის-უფალ დროს რომ ვიქეიფო
ხალხისა „სხოტზედ“—განა ქრთამია?!..

მიყვარს ნუნუა, შამპანიურიც,
ქიტკა, სარდინკა, მწვად-ქათამია,
ხუთ მანეთიანს როგორ ვიკადრებ,
თუ არა მეტი... ეს რა ქრთამია?!..

არ მოვწყინდები მუდამ ღხინითა,
განუწყვეტლივა, დღე თუ ღამეა,
ფულიც კი მინდა, თუ ვინმე მომცემს,
ნურვინ დამძრახავთ—ეს რა ქრთამია?!..

ყველგან მაქვს ბინა, კიდეც ვთარეშობ,
აქ სადილსა ვსჭამ, იქ ვახშამია,
მესამე ადგას ქალთან ვქეიფობ,—
ვის შეუძლიან, მითხრას: ქრთამია?!..

როს დავითვრები, ფაეტონის ფულს
ხელში მაჩეჩებს—ესეც რამეა?
არ გამოვართვა, ხომ ეწყინება,
მოდი ავიღებ, — ეს რა ქრთამია?

უნდა ვილხინო და ვიქეიფო,
მანამდის შემწევს დრო და ჟამია;
რაც კი შევიძლო, ჯრთხილად მოვიქცე,
თუმც მეძახიან—რა მექრთამეა!!...

ანტ. განჯის-კარელა

ქუთაისის ინტელიგენტს
არ შემშვენის უსაქმობა,
ვინაიდგან მეხერხება
ლაპარაკი, კენჭაობა.

სამოქმედოდ რომ არა გვაქვს
შესაფერი პირობები,
დიად მიზნებს, მიუღწეველს
არ მივედებ-მოვედები.

ან რად მინდა ეს მიზნები
საარჩევნო ყუთის წინა,
სადაც ყოველ ინტელიგენტს
მიუგნია მისი ბინა.

საზოგადო სამსახურად
კაცისათვის ისიც კმარა,
თუ რომ კენჭი არჩევანში
შესაფერად მოიხმარა.

მეც კენჭი მაქვს და ამიტომ
ბევრი რამე შემიძლია,
თუ რომ სხვისმა მორიდებამ
ან სიზანტემ არ დამძლია.

არდი-ალი.

## „შურდულის“ ფოსტა.

**ცხინვალი, ბ—ს.** ნურას უკაცრავად, წერილს «ჯოჯოხეთის პროვინცია»—ვერა ვბეჭდავთ: ცოტა ხელმარჯვეობა აკლია.

**ხონი. გ. წ—ს.** თქვენთანაც უკაცრავად: ერთობ ბევრი ითქვა მაგ საგანზე.

**ტფილისი. ა. ლ—ს.** თქვენი «ნაწყვეტები» ერთობ ნაწყვეტებია და ამიტომ უკაცრავად....

**გორი. დ. ც—ს.** ყველას პოეტი არ ეთქმის, ვინც დასწერავს ორიოდ ლექსს, „უმსგავსო და შორიშორსა“.

## („შურდულის“ დეპეშათა სააგენტო)

**თელავი.** აქაურ ბაღში ერთ ქალს შუადღისას სეირნობის დროს გული შეუღონდა. კავალრები თვით-მმართველობას უჩივიან,—მტვრის ყლაპით მოუვიდაო. მაგრამ აღმოჩნდა, რომ კორსეტს შეებნი დი.—შესდგა მეჭორეთა კომიტეტი კომიტეტში მამა-კაცებიც ეწერებიან.— აქაური «ბარიშნები» პედაგოგთა მეთაურობით ვარდის-უბანში მკითხავ დედაკაცთან დაიარებიან,—ეგება გაგვიგოს, როდის დავთხოვდებითო.

**გორი.** წუხელის მიწა ინძრა, სხვათაშორის გორის თვით სამმართველო დაინგრა; მოსამსახურენი გადარჩნენ, მაგრამ დავთრები დაეკარგათ.

**ოდიში.** ნათქვამია: სინამ ხრმალი მივიდოდე, ენამ თავი მოსჭრაო; ენატანიობა და ჯაშუშობა ჭირივით მოედო მთელს ოდიშს; დაგვჭრეს თავები, მოგვისპეს სიცოცხლე. დახეთ ჩვენსა სილაჩრესა!!...

**ტფილისი.** ხოლერისათვის ყოველივე მზად არის: აუარებელი მტვერი, ბინძურობა, სიმყრალე, უწყლობა, უთაობა და უთავბოლობა.

რედაქტორ-გამომცემელი ია ერაძე.

**ბერლინი.** (ვოლფი). ოფიციალურად. გერმანიის კრეისერი „ფიუსტ ბისმარკი“ კრეისერთა ესკადრის უფროსის პრისვიცის მეთაურობით გამოვიდა ჩიფუდან ცინდაოს. გერმანიის კრეისერი «ტეტისი» 31 ივლისს წავა ჩიფუდან. კრეისერი «ზეე ადლერ»-ი 31 ივლისს ცინვანდაოდან ცინდაოს მიდის.

**ჩიფუ.** (რეიტერი). მტკიცდება, რომ რუსის გემები ცინდაოს მოვიდნენ. მოვიდნენ კრეისერები «ასკოლდი» და «დიანა» და კონტრ-ნაღმოსანი. კრეისერი «ნოვიკი» არ მოსულა. კრეისერები «ფიუსტ ბისმარკი» და «ტეტისა» მიემგზავრებიან ჩიფუდან ცინდაოს. ამბობენ, ორი რუსის ნაღმოსანი ჩინეთის ნაპირებთან შეიპყრესო. ფიქრობენ, მეცადინეობამ, რომ ვლადივოსტოკისაკენ გასულიყვნენ, ფუჭად ჩაუარაო.

**ტოკიო.** პორტ-არტურის ლაშქრიდან მოსული აფიცერი ლაპარაკობს. რუსები დიდის გულმოდგინებით მუშაობენ, რომ შეაფერხონ იაპონიის ჯარის წინსვლაო; ხერხავენ მავთულებსა და სხვა ამგვარებსა. იაპონიის აფიცრებსა და სალდათებს უკვირთ ალყა შემორტყმულ რუსების ვაჟკაცობა და გამბედაობა. აქა ფიქრობენ, რომ რუსის ესკადრის მომეტებული ნაწილი ისევ პორტ-არტურს დაბრუნდაო.

**ჩიფუ.** (რეიტერი). იაპონიის აფიცერი გაგზავნეს ნაღმოსან «რეშიტელნიზე», რომ გამოეცხადებინა რუსის კაპიტნისათვის გამოსულიყო ნავსადგურიდან საბრძოლველად. კაპიტანმა გემიდან უპასუხა, მანქანა მოშლილია და გემსაც იარაღი აჰყარესო და ყველაფერი ჩინელებს გადაეცაო. ამ დროს თურმე კაპიტანმა ჩუმად უბრძანა, აეფეთქებინათ, და თვით ეცა იაპონიის აფიცერსა დ ორთავენი წყალში გადაცვინდენ. ბრძოლამ ნაღმოსანზე ათს წამს გასტანა და შესწყდა მაშინ, როცა აფეთქებამ აგლიჯა ბანი გემისა.—ასე ცხადად ნეიტრალიტეტის დარღვევის დროს ჩინელთაგან უყურადღებობა საკვირველია.—ფიქრობენ, რომ მეს გარეიოება საერთაშორისო დავას გამოიწვევსო.

31 ივლისი.

**პეტერბურგი.** უმაღლესი მანიფესტი მისი იმპერატორებითის, ხელმწიფა იმპერატრიცას ალექსანდრა თეოდორეს ახულის მშობიარობიდან განთავისუფლებისა, რომელმაც შვა ძე ალექსით წოდებული. წყალობითა ღვთისათა, ჩვენ ნიკოლოოზ მეორე, იმპერატორი და თვითმპყრობელი მთლად რუსეთისა, მეფე პოლონელთა, დიდი მთავარი ფინლიანდიისა და სხვათა, და სხვათა, და სხვათა, ვუცხადებთ ჩვენს ერთგულ ქვეშევრდომთა: 30 დღესა ამა ივლისს უსაყვარელესმა მეუღლემ ჩვენმა ხელმწიფა იმპერატრიცამ ალექსანდრა თეოდორეს ასულმა შვა ძე ალქსით წოდებული. მივიჩნიეთ რა ეს სასიხარულო ამბავი ღვთის მოწყალებად ჩვენზე და ჩვენს იმპერიაზე, აღვავლინეთ ერთად ჩვენთა ერთგულთა ქვეშევრდომთა მხურვალე ლოცვის უზენაესისადმი კეთილად აღზდისა და წარმატებისათვის ჩვენის პირმშო ძისა, რომელიც მწოდებელ არს მემკვიდრედ ჩვენის სახელმწიფოსი. 28 ივნისს 1899 წ. მანიფესტით მოვუწოდეთ ჩვენს უსაყვარელესს ძმას დიდს მთავარს მიხეილ ალექსანდრეს მემკვიდრედ იმ დრომდე, მინამ ჩვენ ძე გაგვიჩნდებოდა. ამიერიდან, თანხმად სახელმწიფოს ძირითადის კანონებისა, ჩვენს ძეს ალექსის ეკუთვნის უმაღლესი წოდება და ტიტული მემკვიდრე ცესარევიჩისა ყველა მასთან შეერთებულის უფლებათა. გამოცემულ არს პეტერგოფში, 30 დღეს ივლისისას, დაბადებიდან ქრისტესა ათას ცხრაას ოთხსა, მეფობიდან ჩვენისა მეათესა!!. ნამდვილზედ მისის იმპერატორებითის საკუთარის ხელით მოწერილი არს «**ნიკოლოოზი**».

**ბერლინი.** როგორც იუწყებიან, მსწრაფლ მავალი გემი «ლანი» მიუყიდნიათ რუსეთის კერძო ფირმისათვის.—ამბავი მოვიდა, პარიჟში, რომ იაპონიის გემები უყარაულებენ ცზიაჯოუს ნავთსადგურს ახლო იქ შეფარებულ რუსის გემებსა.

**კელნი.** როგორც ბერლინიდან იუწყებიან, მტკიცდება, რომ რუსის სამხედრო გემები პორტ-არტურთან ბრძოლის შემდეგ ცზინდაოს მივიდენ. როგორც ფიქრობენ და, რასაკვირველია, ეს ასეც უნდა იყოს, ცზიაჯოუს გუბერნატორი სანეიტრალო კანონების ძალით მოეპყრობა იმათა.

**ჩიფუ.** (რეიტერი). ჯერ არ იციან, რომელი გემები მოვიდნენ ცინდაოს. მგონი ერთი იმათგანი «ცესარევიჩი» უნდა იყოს, ან იმისი მზგავსი გემი. ორს იმ გემთაგანს და ერთს კონტრ-ნაღმოსანს უნდათ კარდაფის ნაპირის წაღება ერთი კრეისერი და ერთიც კონტრ ნაღმოსანი შანჰაის უახლოვდებიან. ესკადრის ნაწილი პორტ-არტურს დაბრუნდა.

**ტოკიო** (ვოლფი). ოფიციალურად როგორც აქ მოვიდა ამბავი, პორტ-არტურიდან გამოვიდა რუსის ესკადრა და ჩიფუდან სამხრეთად თავს დაესხა ჩინეთის ფლოტი, რომელმაც ისინი გაჰფანტა. კრეისერები «ასკოლდი» და «ნოვიკი» და კიდევ მესამე კრეისერი, აგრეთვე ერთი კონტრ ნაღმოსანი 29 ივლისს თავშესაფარს დაეძებდნენ ცზიაჯოუს ნავოსადგურში, მეორე კონტრ-ნაღმოსანი კი ჩიფუში. რუსის ჯავშნიანი გემები, ესე ხუთამდე, ერთი კრეისერი, ვგონებთ, «დიანა», წყალში მავალი ლაზარეთი და რამდენიმე კონტრ-ნაღმოსნები, ვგონებთ 29 ივლისს ისევ პორტ-არტურს დაბრუნდნენ; ფიქრობენ, რომ იაპონიის ფლოტს ზიანი არ მოსვლია.

**შანჰაი.** (რეიტერი). რუსის კონტრ-ნაღმოსანი რომელიც 30 ივლისს მოვიდა. იუწყება, ოთხმა რუსის ჯავშნიანმა გემმა სადლოს კუნძულებისკენ გაიარეს, შანჰაიდან სამხრეთ-აღმოსავლეთად.

**ნიუ-იორკი** (საკ. კორ.). «Associeted Presse»-ს დეპეშაში ჩიფუდან აწერილია, როგორც მოვიდენ იაპონიის კონტრ-ნაღმოსნები «რეშიტელნისთან» და შეიპყრეს იგი, შემდეგ ნათქვამია, თუმცა იაპონიის კონსულმა განაცხადა, კონტრ-ნაღმოსნებმა არ იცოდნენ, თუ «რეშიტელნი» იარაღ აყრილი იყო, მაგრამ კორესპონდენტს წინადვე შეეტყობინებია იმათთვის იარაღის აყრის შესახებ.

**სარატოვი.** ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველად სარატოვსა, ცარიცინსა, ვოლსკსა და მაზრებში, რომლებიც მდინარე ვოლგას აკრავს, სასანიტარო კამისიები დანიშნეს, რომელთაც მთავრობამ გადასცა 40 ათასი მანეთი.

**ადესა.** უცბად გარდაიცვალა ქალაქ პეტის თანაშემწე სტარკოვი.

**ბერლინი.** მემკვიდრის დაბადების ამბავი ორს საათზე მოვიდა. დეპეშა მაშინვე გამოაქვეყნეს გაზეთებმა.—«ნორდდეიტშე ალგემაინე ცეიტუნგი» სწერს, რომ გერმანია თანაგრძნობით მოეგებება ამ ამბავსა და რუსეთის ხალხთან ერთად უსურვებენ ახლად დაბადებულის ბედნიერებასა. —«ლოკალ ანცეიგერი» სწერს: «რუსეთის ერთ განსაკუთრებულის სიხარულით მიეგებება ამ მძიმე დროს ტახტის მემკვიდრის დაბადებასა, როგორც იმისთან ამბავსა, რომელსაც პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.»—„ბერლინერ ტაგებლატი“ ამბობს, დაბადება ერთობ დიდი მოვლენა არისო. რუსეთი, რომელიც დიდი ხანია ელოდა მემკვიდრის დაბადებასა, ჩასთვლის მომასწავებლად აღმოსავლეთ-აზიის ომის კეთილად გათავებასა და ღვთის კურთხევა დრომანოვების სამეუფე სახლისა.

**სმირნა.** (რეიტერი) 30 ივლისს აქ ამერიკის სამი გემი გაჩერდა.

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**

გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**


# განცხადებანი

ქ უ თ ა ი ს შ ი

ს. ბ. თოფურ ას

**სამკურნალოში,**

რომელიც იმყოფება მათას უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ბინა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.


# ბ ა ლ ა ნ ს ი

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა 1-ლი ივლისისათვის 1904 წ.

**აქტივი**

| | | მანეთი. | კაპ. | | |
|---|---|---|---|---|---|
| ნაღდი ფული კასაში | | 136,021 | 12 | | |
| გირავნობის ფურცლებით | | 606,400 | — | 742,421 | 12 |
| მიმდინარე ანგარიში სხვა-და სხვა ბანკში. | | 737,941 | 47 | | |
| ტფილისის საურთიერთო სამეურნეო კრედიტის საზოგადოებაში შეტანილი | | 250 | — | | |
| კორესპოდენტებთან ნაღდად | | 56,838 | 10 | 795,029 | 57 |
| „ „ გირავნობის ფურც | | — | — | 72,600 | — |
| ბანკის სარგებლიანი ქაღალდები: | | | | | |
| სახელმწიფო მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილი ქაღალდები: | | | | | |
| ა) სათადარიგო თანხა | 646,000 | 580,602 | 42 | | |
| სამოქმედ. თანხა | 292,350 | 311,014 | 63 | | |
| მთავრობის მიერ არა-უზრუნველ-ყოფილ სარგებლიანი ქაღალდები: | | | | | |
| სამოქმედო თანხისა | 141,400 | 73,018 | 45 | 964,635 | 50 |
| იმათი სარგებელი | | — | — | 53 | 90 |
| | 1.079,750 | | | | |
| დიდ-ვადიანი სესხი: | | | | | |
| ა) მიწა-ადგილის გირაოდ მიღებით გაცემული | 5.177,688—43 | 37.391,811 | 28 | | |
| ბ) ქალაქის უძრავ-ქონებათა გირაოდ მიღებით გაცემული. | 32. 213,122—85 | 265,088 | 72 | — | — |
| ვადაზედ გარდასახადი სესხი. | 259,906—33 | | | | |
| ვადამდე გარდახდილი სესხი ნაღდ ფულათ | 5,182—39 | 265,088 | 72 | 37.656,900 | — |
| მსესხებელნი: | | | | | |
| ა) დანაწილებულნი შემოსატანნი | | 1,560 | 68 | | |
| ბ) ვადა-გადადებული შემოსატანნი | | 942 | 50 | | |
| გ) ვადა-გადაცილებულნი შემოსატანნი | | 32,500 | 51 | 34,993 | 69 |
| შეღავათიანი გარდასახ. § 12: | | | | | |
| ა) დიდ ვადიანი სესხისა | | 957,828 | 23 | | |
| ბ) მოკლე-ვადიანის სესხისა | | 9,521 | 06 | 967,349 | 29 |
| ჯარიმა ვადაზედ შემოსატანის დაგვიანებისათვის | | — | — | 17,802 | 71 |
| მოკლე-ვადიანი სესხი | | — | — | 274,112 | 16 |
| დასაბრუნებელი ხარჯი | | — | — | 24,629 | 08 |
| 5% სახელმწიფო გადასახადი კუპონებით. | | — | — | 1,031 | 16 |
| ხარჯი: ა) ბანკის მორთვა-მოწყობისა | | 5.354 | 83 | | |
| „ ბ) გამგეობისა და შენახვისა | | 60,410 | 25 | 65,765 | 08 |
| საკომისიოდ მიღებული გირავნობის ფურცლები. | | — | — | 174,528 | 50 |
| ბანკის საგენტოშია ნაღდ ფულად | | 537,202 | 27 | | |
| „ „ გირავნ. ფურცლებით. | | 7,800 | — | 545,002 | 27 |
| თანხა დაფასებისა დ სხვათა ხარჯებისათვის. | | — | — | 106 | 14 |
| გასავალი იმ მამულებისა, რომელიც ბანკს დარჩა | | — | — | 39,567 | 67 |
| ბანკზედ დარჩენილი მამულების შემოსავალი: | | | | | |
| ა) ქალაქის მამულზედ. | 268,569—84 | | | | |
| ბ) მიწა ადგილზედ | 21,367—08 | | | | |
| გ) მოკლე-ვადიან სესხის | 2,520—00 | | | | |
| | 292,456—92 | | | | |
| **ბალანსი.** | | — | — | 42.376,527 | 80 |

**პასივი**

| | მანეთი. | კაპ. | | |
|---|---|---|---|---|
| ძირის ფული. | — | — | 551,832 | 25 |
| სათადარიგო თანხა | — | — | 649,071 | 74 |
| თანხა ბანკში მსახურთა საჭიროებისათვის. | — | — | 10,260 | 66 |
| თანხა საზოგადო საჭიროებისათვის | — | — | 30,125 | 08 |
| სასოფლო-სამეურნეო თანხა | — | — | 35,350 | 02 |
| საყოველ-შემთხვევო თანხა | — | — | 17,675 | 01 |
| $4^1/_2$% გამოცემული გირავნ. ფურც. | 4.159,100 | — | — | — |
| 5% „ „ „ | 33.206,200 | — | 37.365,300 | — |
| გირავნობის ფურცლები, ტირაჟში გამოსულნი იმ ჯამისა, რომელიც გადადებულ იქმნა წესდების მე 101 §-ის ძალით, სავალდებულო გარდასახადის მოსასპობათ | — | — | 291,600 | — |
| გირავნობის ფურცლები გამოსაცემად დანიშნულნი. | — | — | 176,400 | — |
| გირავნობის ფურცლები ექსპედიციის მიერ გამოცემული | — | — | | |
| ვადამდე გადასახდელი სესხი: | | | | |
| ა) გირავნობის ფურცლებით | 262,700 | — | | |
| ბ) ნაღდის ფულით | 5,182 | 39 | 267,882 | 39 |
| ტირაჟში გამოსული გირავნობის ფურცლები: | | | | |
| $4^1/_2$% | 900 | — | | |
| 5% | 194,300 | — | | |
| 6% გირავნობის ფურცლები ტირაჟში გამოსული ჩვეულებრივ- და გაძლიერებულის კონვერსიით | 5,100 | — | 200,300 | — |
| გირავნობის ფურცლების გადასახდელი კუპონები: | | | | |
| 6% | 1,878 | — | | |
| 5% | 883,685 | — | | |
| $4^1/_2$%. | 97,065 | — | 982,628 | — |
| სარგებლის ფონდი: | | | | |
| 5% | 830,684 | 62 | | |
| $4^1/_2$%. | 93,560 | 72 | 924,245 | 34 |
| თავნის გასასტუმრებელ თანხა: | | | | |
| 5% ვადით. | 7,185 | 39 | | |
| 5% უვადოთ | 226,287 | 64 | | |
| $4^1/_2$% | 26,433 | 30 | 259,906 | 33 |
| თავნის გასასტუმრებ. ფონდი არა სასავალდებ. გარდასახ. იმ გირაოს ფურცელ., რომლებიც ურთიერთ შორის თავდებობით არის გამოცემული თანხმად 101 § ბანკის წესდებისა | — | — | 34,316 | 54 |
| გარდამავალნი ჯამნი: | | | | |
| ა) ნაღდის ფულით | 94,425 | 24 | | |
| ბ) გირავნობის ფურცლებით | 54,300 | — | | |
| ამ თავითვე გარდახდილი შესატანი. | 307 | 23 | 149,032 | 47 |
| საკომისიოდ მიღებული გირან. ფურც | — | — | 193,400 | — |
| მოკლე ვადიან სესხის სარგებელი | 12,462 | 13 | | |
| მართვა-შენახვის ხარჯის თანხა | 154,670 | 81 | | |
| დასაფასებელ და სხვა ხარჯის თანხა | — | — | | |
| ჯარიმა | 40,640 | 33 | | |
| სხვა-და-სხვა სარგებელი | 24,623 | 07 | 232,396 | 34 |
| განსაკუთრებული მიმდინარე ანგარიში | — | — | 4,785 | 63 |
| სამრეწველო გარდასახადი | — | — | 20 | — |
| **ბალანსი.** | — | — | 42.376,527 | 80 |

გირავნობის ფურცლების კუპონებისა და ტირაჟში გამოსულ გირავნობის ფურცლების ფულის მიღება შეიძლება: **სახელმწიფო ბანკში** და ყველა მის განყოფილებებში; **ქ. ტფილისში**—ბანკის კასაში; **ს.-პეტერბურგში**—პეტერბურგის საუწოტო დაკამსესხებელ ბანკში; აზოვის-დონის საკომერციო ბანკში და მის განყოფილებებში; ლიონის კრედიტში დ ყველა იმის განყოფილებაში, პეტერბურგის კერძო საკომერციო ბანკში, პეტერბურგის საერთაშორისო საკომერციო ბანკში და იმის განყოფილებებში, საბანკო სახლში ი. ვ. იუნკერისა და ამხ. საბანკო სახლში გ. ვაკელბერგისა; **მოსკოვში**—მოსკოვის საუწოტო ბანკში, მოსკოვის საერთაშორისო სავაჭრო ბანკში და ყველა იმის განყოფილებაში; ძმ. ჯანკაროვების სავაჭრო სახლში: **ვარშავში**—ვარშავის საკომერციო ბანკში; **რიგაში**—რიგის საკომერციო ბანკში და იმის განყოფილებებში; **რეველში**—ბალტიის სავაჭრო სამრეწველო ბანკში.

Дозволено цензурою Тифлисъ 31 іюля 1904 г. Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинаріи